

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება - სოციალური ფსიქოლოგია
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია - სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით
სამაგისტრო პროგრამის მოცულობა შეადგენს მთლიანობაში 120 (ECTS)კრედიტს. ხანგრძლივობა 4 სემესტრი, სემესტრში 30 კრედიტი
4. სწავლების ენა - ქართული
5. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - კახი კოპალიანი

6. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ✓ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერი სპეციალობით
- ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები
- ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში (სასპეციალიზაციო საგანი - ფსიქოლოგიის საფუძვლები) (საკითხები იხ. http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=371&info_id=860)
- ✓ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

7. პროგრამის მიზანი

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს კაცობრიობის მთავარი ღირებულებების - განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მქონე სხვადასხვა აკადემიური დონის კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ მაღალზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.

აქედან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-მკვლევარების მომზადება სოციალური ფსიქოლოგიის დარგში.

სოციალური ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანის სოციალურ ბუნებას, ინდივიდის ქცევას სოციალურ გარემოში. ეს ნიშნავს, რომ სოციალური ფსიქოლოგია იკვლევს სიტუაციების სპეციფიკური კლასების გავლენას ინდივიდის ქვევაზე. ის შეისწავლის, თუ როგორ რეაგირებენ განსხვავებული პიროვნული თვისებებისა და უნარების მქონე ინდივიდები სიტუაციების ამ სპეციფიკურ კლასებზე. ამრიგად, პროგრამის მიზანია მაგისტრანტებმა მიიღონ ღრმა ცოდნა სოციალური ფსიქოლოგიის დარგში და მოამზადოს ისეთი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებების მომსახურებას, სოციალურ-ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრებში ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებას, პრევენციული ღონისძიებების ჩატარებას და განახორციელებს ინდივიდებისა და ჯგუფების დახმარებას. ხელს შეუწყობს ადამიანთა პიროვნებათაშორისი ურთიერთობების მოწესრიგებას. აღნიშნულ საკითხს ემსახურება ის სალექციო კურსები და მაგისტრანტთა პრაქტიკული მუშაობა (როგორც უშუალოდ ლექტორთან, ისე დამოუკიდებლად), რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე სამაგისტრო პროგრამით. პროგრამის გავლის შემთხვევაში მაგისტრს ექნება სრული წარმოდგენა სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში არსებულ ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ მიდგომაზე.

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა აგებულია ფსიქოლოგების მიმართ იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც შრომის ბაზრის კონიუნქტურის შესწავლამ აჩვენა: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ჩატარების უნარი, კვლევის მასალის დამუშავების თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების SPSS-ის გამოყენების უნარი, ტრენინგების ჩატარების უნარი, ადამიანური რესურსების მართვის უნარი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები.

შესაბამისად, პროგრამა იძლევა სხვადასხვა სფეროში დასაქმებისა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობას.

8. სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება - აქვს სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში მიღებული ღრმა და სისტემური ცოდნა, შეუძლია ჯგუფთაშორისი და პიროვნებათაშორისი ურთიერთობების კონტექსტში საქმიანობის ადაპტირებისა და შესაბამისი ფასეულობების გააზრება. კარგად ერკვევა სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესების მიმდინარეობის კანონზომიერებებში და პიროვნების ფსიქიკურ თავისებურებებში. აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი, სიმწვანების თავის გართმევისა და საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბების უნარი, რაც სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობაშიც აისახება.

ცოდნის პრაქტიკში გამოყენების უნარი - შეუძლია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, გამომუშავებული აქვს საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა-ჩატარების უნარ-ჩვევები; განსაზღვრავს სოციალურ ფსიქოლოგიაში კვლევის პრიორიტეტული მიმართულებებსა და ამის საფუძველზე ახალი სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შესაძლებლობას. იცის ის ფსიქოლოგიური ფაქტორები, ხერხები და მეთოდები, რომლებიც მიზანდასახულად შეიძლება გამოიყენოს მომავალ პროფესიულ საქმიანობაში, ადამიანებთან ურთიერთობების და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით. გააჩნია ადამიანისათვის დამახასიათებელი ფსიქიკური პროცესებისა და თვისებების დიფერენცირების უნარი და ამ პროცესების რეგულაციისათვის, მოქმედების ინდივიდუალური სტილის შემუშავებით მიიქცემა პრობლემური სიტუაციის დაძლევის, უკეთეს შემთხვევაში კი, პრევენციის შესაძლებლობები.

დასკვნის უნარი - შეუძლია ფსიქოლოგიური მოვლენების გააზრება, მათი შეჯერება. ასევე სასწავლო პროცესის სტრატეგიისა და დროის ორგანიზება, გადაწყვეტილების მიღება, პრობლემის გადაჭრა, თავისი დასკვნების საჯაროდ წარდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, აქვს უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი.

კომუნიკაციის უნარი - შეუძლია ტექნოლოგიური მოწყობილობების, გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება და ინფორმაციული მენეჯმენტი. ასევე სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღება და მათი გაანალიზება. წერილობითი ტექსტების ან ზეპირი გამოსვლების დახვეწა, უცხო ენის გამოყენება ფსიქოლოგიური მოვლენების განსახილველად და შესასწავლად, თანამედროვე ტექნოლოგიებზე გათვლილი ფსიქოლოგიური საშუალებების მოძიება და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება. აქვთ როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობის გამოცდილება.

სწავლის უნარი - შეუძლია ახალ სიტუაციებში ადაპტირება, სწავლის პროცესების თავისებურებების გაცნობიერება და დამოუკიდებლად წარმართვა. აქვს ანალიტიკური ტექსტების შედგენის, პროექტების სტრატეგიულად დაგეგმვის შემუშავებისა და მართვის უნარი.

ღირებულებები - შეუძლია ფსიქოლოგიის მიღწევებისა და საკაცობრივო ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

9. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

| № | სასწავლო კურსი/მოდული | კოდი | ECTS | საათების რაოდენობა | | კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით | | | | ლექტორი | წინაპირობა |
|--|--|------------|------|--------------------|---------------|--|----|-----|----|---|---------------------|
| | | | | საკონტაქტო | დამოუკიდებელი | I | II | III | IV | | |
| სავალდებულო სასწავლო კურსები - 96 კრედიტი | | | | | | | | | | | |
| 1. | ადამიანის ქცევა სოციუმში | PSYC M 201 | 6 | 50 | 100 | 6 | | | | სსუ ასოცირებული პროფესორი კახი კოპალიანი | წინაპირობა არა აქვს |
| 2. | ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები | PSYC M 202 | 6 | 50 | 100 | 6 | | | | ფსიქოლოგიის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი ელენე ჩომახიძე | წინაპირობა არა აქვს |
| 3. | სოციალური გავლენა | PSYC M 204 | 6 | 50 | 100 | 6 | | | | ფსიქოლოგის მეცნ. დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი მარინა ბალიაშვილი | წინაპირობა არა აქვს |
| 4. | ჯგუფები და ჯგუფთაშორისი ურთიერთობები | PSYC M 205 | 6 | 50 | 100 | | 6 | | | სსუ ასოცირებული პროფესორი ნანული ცხვედაძე | PSYC M 201 |
| 5. | ეკონომიკური ფსიქოლოგიის ინტენსიური კურსი | PSYC M 206 | 6 | 50 | 100 | | 6 | | | სსუ ასოცირებული პროფესორი ლია სვანიძე | PSYC M 201 |
| 6. | სოციალურ-ფსიქოლოგიური კონსულტირება | PSYC M 207 | 6 | 50 | 100 | | 6 | | | სსუ ასოცირებული პროფესორი კახი კოპალიანი | PSYC M 201 |
| 7. | ფსიქოდიაგნოსტიკა | PSYC M 208 | 6 | 50 | 100 | | 6 | | | ფსიქოლოგიის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი ელენე ჩომახიძე | PSYC M 202 |
| 8. | ლიდერობის ფსიქოლოგია | PSYC M 209 | 6 | 50 | 100 | | | 6 | | სსუ ასოცირებული პროფესორი კახი კოპალიანი | PSYC M 201 |
| 9. | მრავალგანზომილებიანი სტატისტიკური ანალიზი SPSS -ის გამოყენებით | PSYC M 203 | 6 | 50 | 100 | | | 6 | | ფსიქოლოგიის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი ელენე ჩომახიძე | PSYC B 107 |
| 10. | ეთნოფსიქოლოგია | PSYC M 210 | 6 | 50 | 100 | | | 6 | | ფსიქოლოგიის დოქტორი მოწვეული სპეციალისტი მადონა კეკელია | PSYC M 201 |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|----|-----|-----|---|---|-----------|-----------|---|---|
| 11. | პროფესიული პრაქტიკა | PSYC M 211 | 6 | 105 | 45 | | | 6 | | საქართველოს ფსიქოგოციალური დახმარების ასოციაცია "ნდობა" | I და II სემესტრის სავალდებულო საგნები |
| 12. | სამაგისტრო ნაშრომი | PSYC M 225 | 30 | 65 | 685 | | | 30 | | | I, II და III სემესტრის სავალდებულო საგნები |
| არჩევითი სასწავლო კურსები - 24 კრედიტი | | | | | | | | | | | |
| 1. | - ტრენინგის მართვის ტექნოლოგია - კომუნიკაციები და მოლაპარაკებები მულტი-კულტურულ სამყაროში - ინგლისური ენა | - PSYC M 212 - PSYC M 213 - ENGL M201 | 6 | 50 | 100 | 6 | | | | სსუ ასოცირებული პროფესორი ნანული ცხვედაძე სსუ ასოცირებული პროფესორი ლია სვანიძე სსუ. პროფესორი ემა კილანავა | წინაპირობა არა აქვს წინაპირობა არა აქვს წინაპირობა არა აქვს |
| 2. | - მოტივაცია და ქცევა - საზოგადოებასთან ურთიერთობის ფსიქოლოგია | - PSYC M 216 - PSYC M 217 | 6 | 50 | 100 | 6 | | | | ფსიქოლოგიის დოქტორი მადონა კეკელია სსუ ასოცირებული პროფესორი ლია სვანიძე | წინაპირობა არა აქვს წინაპირობა არა აქვს |
| 3. | - პიროვნების ფსიქოლოგია - კონფლიქტების მართვის ალტერნატიული მეთოდები - დარგობრივი ინგლისური ენა | - PSYC M 214 - PSYC M 215 - ENGL M202 | 6 | 50 | 100 | | 6 | | | ფსიქოლოგის მეცნ. დოქტ. მარინა ზალიაშვილი სსუ ასოცირებული პროფესორი ნანული ცხვედაძე სსუ. პროფესორი ემა კილანავა | - PSYC M 201 - PSYC M 201 - ENGL M201 |
| 4. | - ეგზისტენციალური ფსიქოლოგია - მართვის ფსიქოლოგია | - PSYC M 218 - PSYC M 219 | 3 | 35 | 40 | | | 3 | | ფსიქოლოგიის დოქტორი მადონა კეკელია სსუ ასოცირებული პროფესორი ნანული ცხვედაძე | PSYC M 201 PSYC M 201 |
| 5. | - ხელოვნების ფსიქოლოგია - რეკლამის ფსიქოლოგია | - PSYC M 220 - PSYC M 221 | 3 | 35 | 40 | | | 3 | | ფსიქოლოგიის დოქტორი მანანა კანდელაკი ფსიქოლოგის მეცნ. დოქტ. მარინა ზალიაშვილი | PSYC M 201 PSYC M 201 |
| ს უ ლ - 120 კრედიტი | | | | | | | | 30 | 30 | 30 | 30 |